

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მემბრანული ტექნოლოგიები საინჟინრო

ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის

დამატებითი მოთხოვნები

მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

მთავარმა მეცნიერმა თანამშრომელმა უნდა იცოდეს:

- სამეცნიერო კვლევების განვითარების პრობლემები და მიმართულებები (მემბრანული ტექნოლოგიების მიმართულებით);
- ადგილობრივი და უცხოური მიღწევები მეცნიერებათა შესაბამის დარგებში (მემბრანული ტექნოლოგიების მიმართულებით);
- სამეცნიერო კვლევა-ძიებათა ორგანიზებისა და ჩატარების თანამედროვე მეთოდები და საშუალებები (მემბრანული ტექნოლოგიების მიმართულებით).

მთავარ მეცნიერ თანამშრომელს უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში:

- უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული დამსახურებები: მონაწილეობა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების დანერგვასა, მოდერნიზაციასა და კომერციალიზაციაში (არანაკლებ 3-ისა) მემბრანული ტექნოლოგიების მიმართულებით;
- გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 5-ისა სამეცნიერო სტატია მემბრანული ტექნოლოგიების მიმართულებით და არანაკლებ 10-ისა სამეცნიერო ნაშრომი (მონოგრაფია ან/და სტატია სამეცნიერო ჟურნალში);
- მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული საერთაშორისო ან ადგილობრივ გამოფენებსა ან სამეცნიერო კონფერენციებში (მემბრანული ტექნოლოგიების საკითხების შესახებ-არანაკლებ 3-ისა).

მეცნიერი თანამშრომელი

მეცნიერმა თანამშრომელმა უნდა იცოდეს:

- მისი მონაწილეობით მიმდინარე კვლევა-ძიებების მიზნები და ამოცანები (მემბრანული ტექნოლოგიების მიმართულებით);
- ინფორმაცია საქართველოსა და უცხოეთში ანალოგიური შინაარსის სამეცნიერო კვლევების შესახებ (მემბრანული ტექნოლოგიების მიმართულებით);
- მიღებული ინფორმაციის დამუშავების, განზოგადებისა და კვლევების ორგანიზების თანამედროვე მეთოდები (მემბრანული ტექნოლოგიების მიმართულებით).